

2021 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „ჯორჯიან ვაინს პროდუსინგ კომპანი“

**2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
საქმიანობის შედეგები**

		31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	652,325	91,558	156,238
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	1,769,549	1,762,345	2,042,338
მარაგები	3	741,921	600,878	281,484
მოკლევადიანი აქტივები		3,163,795	2,454,782	2,480,060
არამატერიალური აქტივები	10	8,492	5,012	2,061
ძირითადი საშუალებები	9	517,291	573,730	700,147
გრძელვადიანი აქტივები		525,783	578,742	702,208
სულ აქტივები		3,689,578	3,033,524	3,182,268

ვალდებულებები				
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4	2,726,728	2,305,162	2,617,212
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		28,817	27,740	26,086
საგადასახადო ვალდებულებები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები		2,755,545	2,332,902	2,643,299
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2,755,545	2,332,902	2,643,299

საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		15,000	15,000	15,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		919,033	685,622	523,969
სულ საკუთარი კაპიტალი		934,033	700,622	538,969
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,689,578	3,033,524	3,182,268

პეტრე ატამან (დირექტორი)

/-----/

შალვა შარმანაშვილი (მთ. ბუღალტერი)

/-----/



მოგება-ზარალის უწყისი 2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	6	1,852,183	1,476,757
თვითღირებულება	7	-751,601	-403,507
საერთო მოგება		1,100,582	1,073,250

სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		-632,584	-554,277
ცვეთა და ამორტიზაცია	9; 10	-99,004	-238,695
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი		-13,086	-12,765
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		-110,446	-159,703
ხელ საოპერაციო ხარჯები		-855,120	-965,440

საოპერაციო მოგება		245,462	107,810
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება			
მარაგების გაუფასურება			
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	-12,051	22,290
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი შემოსავლებიდან		233,411	130,100
მოგების გადასახადი			
მოგება(ზარალი)		233,411	130,100

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		662,729	532,629
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		233,411	130,100
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		896,140	662,729

პეტრუ ატამან (დირექტორი)

შალვა შარმანაშვილი (მთ. ბუღალტერი)






**ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 31.12.2021 წ.
დასრულებული წლისთვის**

ფულადი სახსრების მოძრაობა		2021	2020
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	613 611	28,492
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-42 565	112,276
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		571,046	-83,784
	სავალუტო კურსის ეფექტი	-10,280	19,105
	ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	91,558	156,238
	ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	652,325	91,558

პეტრუ ატამან (დირექტორი)

/-----/ 

შალვა შარმანაშვილი (მთ. ბუღალტერი)

/-----/ 


კომპანიის დასახელება: შპს "ჯორჯიან ვაინს პროდუსინგ კომპანი"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 208213191

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: პეტრე ატმან

დამფუძნებელი: 100% - სს „პოლიოტი“ (რუსეთის ფედერაცია).

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ვაინს პროდუსინგ კომპანი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2001 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება, შესყიდვა, ექსპორტი. 04.12.2006 წ-მდე კომპანია წარმოადგენდა სააქციო საზოგადოებას. აღნიშნულ თარიღში განხორციელდა მისი რეორგანიზაცია და გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშევის ქ. 27;

კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, სამგორის რაიონი, იუმაშევის ქ. 27;

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები. საკანონმდებლო, საგადასახადო მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას და ცვლილებებს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობა არსებულ ბიზნეს გარემოში. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ ახლო მომავალში განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა ან გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ კომპანია ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები, მათ შორის COVID-19 გავლენა, რისკები და შესაძლებლობები.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარიკაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

აქტივის სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება ერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება დაშეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.
გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო უთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 1

**ფულადი სახსრები და
ფულადი სახსრების
ექვივალენტები**

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	34	71
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	4,273	384	543
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	648,052	91,140	155,623
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები			
სულ	652,325	91,558	156,238

შენიშვნა 2

**სავაჭრო და სხვა
მოთხოვნები**

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება			284,460
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	194,549	187,345	182,040
სხვა დებიტორული დავალიანება	1,575,000	1,575,000	1,575,838
სულ	1,769,549	1,762,345	2,042,338

შენიშვნა 3

**სასაქონლო
მატერიალური მარაგები**

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ნედლეული და მასალები	536,996	149,020	147,646
დაუმთავრებელი წარმოება	8,567	339,568	93,570
მზა პროდუქცია	196,357	110,751	40,268
სულ	741,921	599,339	281,484

შენიშვნა 4

**სავაჭრო და სხვა
ვალდებულებები**

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო ვალდებულებები	2,726,728	2,305,162	2,617,212
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	28,817	27,740	26,086

სულ	2,755,545	2,332,902	2,643,299
-----	-----------	-----------	-----------

შენიშვნა 5

საგადასახადო
ვალდებულებები

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
გადასახდელი მოგების გადასახადი- განაწილებული მოგება წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი-სხვა საშემოსავლო გადასახადი			
დღგ	193,131	187,345	182,040
ქონების გადასახადი			
სულ	193,131	187,345	182,040

შენიშვნა 6

ამონაგები

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
18 %-იანი დასაბეგრი ბრუნვა	542,059	587,726	398,420
ნულოვანი რეალიზაცია	1,310,124	889,030	1,538,687
სულ	1,852,183	1,476,757	1,937,107

შენიშვნა 7

რეალიზებული
პროდუქციის
თვითღირებულება

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	751,061	403,507	702,000
მიწოდების ხარჯები სხვა	6,984	15,856	9,619
სულ	758,045	419,363	711,619

შენიშვნა 8

სხვა შემოსავალი

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო მოგება	-12,051	22,290	-16,091
სულ	-12,051	22,290	-16,091

შენიშვნა 9

ძირითადი
საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრ. საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
--	------	-----------------------	-------------------------	-----------------------	----------------------	---------------------------------	-----

საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2017	49,039	384,170	3,660,930	888,039	98,022	6,853	5,087,053
დანამატი 2018		7,109	124,970	14,093		21,500	167,672
ბალანსი 31/12/2018	49,039	391,279	3,785,900	902,132	98,022	28,353	5,254,725
აკუმულირებული ცვეთა ბალანსი 31/12/2017		-273,478	-2,991,827	-758,235	-48,766	-4,000	-4,076,306
ცვეთა პერიოდისთვის 2018		-51,737	-219,014	-25,961	-9,851	-3,653	-310,216
ბალანსი 31/12/2018	0	-325,215	-3,210,841	-784,196	-58,617	-7,653	-4,386,522
წმინდა ღირებულება ბალანსი 31/12/2017	49,039	110,692	669,103	129,804	49,256	2,853	1,010,747
ბალანსი 31/12/2018	49,039	66,064	575,059	117,936	39,405	20,700	868,203
დანამატი 2019		119,774	133,643		37,722	16,228	307,367
ბალანსი 31/12/2019	49,039	185,838	708,702	117,936	77,127	36,928	1,175,570
ცვეთა პერიოდისთვის 2019		-79,493	-296,695	-50,447	-32,991	-15,796	-475,422
ბალანსი 31/12/2019	49,039	106,346	412,007	67,489	44,136	21,132	700,147
დანამატი 2020		20,176	57,316		13,892	20,893	112,277
ბალანსი 31/12/2020	49,039	126,522	469,323	67,489	58,027	42,025	812,425
ცვეთა პერიოდისთვის 2020		-39,561	-146,748	-21,102	-18,144	-13,140	-238,695
ბალანსი 31/12/2020	49,039	86,961	322,575	46,387	39,883	28,885	573,730
დანამატი 2021		22,544	20,021				42,565
ბალანსი 31/12/2021	49,039	109,505	342,596	46,387	39,883	28,885	616,295
ცვეთა პერიოდისთვის 2021		-18,552	-60,942	-7,859	-6,757	-4,894	-99,004
ბალანსი 31/12/2021	49,039	90,953	281,654	38,528	33,126	23,991	517,291

შენიშვნა 10

არამატერიალური აქტივი

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
პროგრამული უზრუნველყოფა	10737	6,552	5,191
ცვეთა პერიოდის მიხედვით	706	655	442
აკუმულირებული ცვეთა პერიოდის ბოლოს	2,245	1,539	884

წმინდა დირეზულება			
პერიოდის ბოლოს	8,492	5,012	4,307

პეტრუ ატამან (დირექტორი)

/  /

შალვა შარმანაშვილი (მთ. ბუღალტერი)

/  /

